განხილულია №11 პედსაბჭოს სხდომაზე 12.09.2023 წ.

„ვამტკიცებ“ შ.პ.ს. „ოქროს აკვანი“ კერძო სკოლის
დირექტორი /მ. მიქაძე/
ბრძანება №2/98 12.09.2023 წ.

შ.პ.ს. „ოქროს აკვანი“ კერძო სკოლის მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შ.პ.ს. „ოქროს აკვანი“ კერძო სკოლაში ადმინისტრირების მექანიზმის ხელშეწყობას მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით.
2. მოსწავლის უფლებები დაცულია, საქართველოს კონსტიტუციით, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციით, ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილი სტანდარტებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტებით, რომლის შესრულება სავალდებულოა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

მუხლი 2. დოკუმენტის მიზანია:

ხაზი გაუსვას სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი, მოსწავლის უფლებების დაცვის ზრუნვის ადმინისტრირებისთვის სათანადო მექანიზმების დადგენის მნიშვნელობის სავალდებულოობას შ.პ.ს. „ოქროს აკვანი“ კერძო სკოლაში.

მუხლი 3. მოსწავლის უფლება-მოვალეობები:

მოსწავლის უფლება-მოვალეობები

მოსწავლეს უფლება აქვს:

1. მიიღოს განათლების სამინისტროს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა ტიპის მომსახურება;
2. მიიღოს სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული მომსახურება;

1. ისწავლოს უსაფრთხო გარემოში;
2. შეიძინოს საგანმანათლებლო და სოციალური უნარ-ჩვევები;
3. მოითხოვოს ბავშვთა უფლებების დაცვა;
4. ჰქონდეს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება;
5. ჰქონდეს ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემო.
6. ჰქონდეს საკუთარი ნიჭისა და უნარების გამოვლენის საშუალება.
7. მიიღოს მისი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობების შესაბამისი მომსახურება;
8. პატივს სცემდნენ მის უფლებებსა და ღირსებას.
9. შექმნას არაპოლიტიკური გაერთიანება, რომელიც არ ეწინააღმდეგება სკოლის იდეოლოგის;

მოსწავლე ვალდებულია:

1. იზრუნოს, სასწავლო გეგმითა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის დაძლევასა და შესაბამისი სასკოლო სოციალირი და კულტურილი უნარ-ჩვევების შეძენაზე;
2. აქტიურად ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში (ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, პრიექტები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა)
3. იყოს ტოლეტანტული;
4. დაემორჩილოს სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ წესებს;
5. პატივი სცეს სკოლის ტრადიციებს.
6. დროულად გაცხადდეს გაკვეთილზე ან სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე.
7. გაკვეთილზე ყოფნისას მოსწავლეს იქონიოს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ნივთები.
8. გამოხატოს აზრები და შეხედულებები სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე.
9. არ გამოიყენოს მობილურ ტელეფონი ან სხვა ტექნიკურ საშუალებები სასწავლო პროცესის დროს, არასასწავლო მიზნით.
10. ხელი არ შეუშალოს მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.
11. პატივი სცეს სხვის აზრსა და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილი პროდუქტი არ გაასაღოს თავისად.
12. მოსწავლე არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას.
13. მოსწავლე გაუფრთხილდებს და არ აზიანოს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონება.
14. დაიცვას სისუფთავეს სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მუხლი 4. მოსწავლის სხვა უფლებები

მოსწავლეთა უფლებების დაცვის ამ და სხვა უამრავ ჩამონათვალს ასევე განსაზღვრავს სახელმწიფოს შიდა და საერთაშორისო მარეგულირებელი საკანონმდებლო დანაწესები, აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელსაც აღიარებს სახელმწიფო და ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მისი დაცვის მექანიზმების შემუშავებაში.